



სსიპ. ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული
ბიურო

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების
შესყიდვის განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

2013 წელი, ქ. თბილისი

სარჩევი

| | |
|-----------------------------|----|
| საკონკურსოგანცხადება..... | 4 |
| ტექნიკური დავალება..... | 7 |
| ხელშეკრულების პროექტი | 10 |

საკონკურსო განცხადება

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტის ეროვნული ბიურო აცხადებს კონკურსს დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის შენობის არქიტექტურული პროექტის (მათ შორის ექსტერიერის, ინტერიერის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი) სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

- კონკურსის მიზანია ქ. ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზ №2ა- ში (საკადასტრო კოდი 03.04.32.176, დაზუსტებული ფართი 5986.00 კვ.მ) სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის შენობის საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციის შემდგენი კონკურსანტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ შენობის არქიტექტურული პროექტის (ელექტრო გაყვანილობის, ვენტილაცია -კონდიციონერების, კონსტრუქციული ნაწილის, სუსტი დენების, სახანძრო გაყვანილობის და გეოლოგიის გარდა) შედგენა.
- კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შენობისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის არქიტექტურული კონცეფციის პრეზენტაცია (შენობის ექსტერიერი უნდა იქნეს წარმოდგენილი მინ. 4 ხედიით).
- კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს შენობის ერთი ან ორი ექსკიზი.
- შენობის ფასადი აღქმადი უნდა იყოს ჭავჭავაძის გამზირიდან, რის დამადასტურებლად და შესაფასებლად, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი სიტუაციური ფოტომონტაჟი. კონკურსანტების მიერ ფოტო გადაღება სასურველია განხორციელდეს ტექნიკურ დავალებაში მითითებული წერტილებიდან, შესაბამისი არეალის ათვისებით.
- ბიუროს საქმიანობის სფეროებიდან გამომდინარე, შენობა უნდა შედგებოდეს ორი ერთმანეთთან დაკავშირებული A და B ორი ან სამ სართულიანი კორპუსებისაგან. A კორპუსში განთავსებული იქნება ადმინისტრაცია და შესაბამისად უნდა გააჩნდეს ერთი შესასვლელი როგორც თანამშრომელთა, ასევე მოქალაქეთ მისაღებად; ხოლო B კორპუსში განთავსებული იქნება პროექტურა (მორგი), რისთვისაც აღნიშნულ კორპუსს საჭიროა გააჩნდეს ცალკე შესასვლელი როგორც თანამშრომელთა და მოქალაქეთათვის, ასევე ცალკე სამანქანო მისაღვომი - გარდაცვლილების მისაღებად.
- შენობის მიმდებარე ტერიტორიის (ეზოს) არქიტექტურული კონცეფციის გადაწყვეტისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს გამწვანებული ზონის არსებობა, 30 ავტომობილზე გათვლილი ავტოსადგომი (ავტოსადგომზე უნდა გაიმიჯნოს თანამშრომელთა და მოქალაქეთა ავტომობილების სადგომი ფართი) და ეზოში განსათავსებელი ელექტრო გენერატორის ფართი.
- გამარჯვებულად გამოვლენილმა კონკურსანტმა (შემდგომში-მიმწოდებელმა), რომელთანაც დაიდება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, უნდა უზრუნველყოს წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისი შენობის ექსტერიერის, ინტერიერის და მიმდებარე ტერიტორიის (ეზოს) მუშა პროექტის (ელექტრო გაყვანილობის, ვენტილაცია -კონდიციონერების, კონსტრუქციული ნაწილის, სუსტი დენების, სახანძრო გაყვანილობის და გეოლოგიის გარდა) შედგენა.
 - ა) ექსტერიერის და გარემოს კეთილმოწყობის არქიტექტურული პროექტის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს: შენობის ფასადის და ლანშაფტის პროექტი (ფასადის ნახაზები, ჭრილები, დეტალები, გენგეგმა, ტერიტორიის მოპირკეთების გეგმა, მასალათა, მცენარეთა სპეციფიკაციები და ა.შ);
 - ბ) ინტერიერის არქიტექტურული პროექტის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს: როგორც ყველა საზოგადო, საოფისე, ასევე დამხმარე და ტექნიკური ფართების იატაკის, ჭერის, ტიხრების ნახაზები, განშლები, დეტალები, მასალათა, ავეჯის სპეციფიკაციები (მათ შორის ავეჯის გეგმარება) და ა.შ;
 - გ) მიმწოდებელი ვალდებული იქნება, მშენებლობის მიმდინარეობისას მის დასრულებამდე უზრუნველყოს სრული საპროექტო ზედამხედველობა.
- მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს პროექტის ფარგლებში გამოყენებული

მასალების დაწვრილებითი სფეციფიკაციები, როგორცაა: მასალათა დასახელებები, მათი სტანდარტები, ფერის კოდები (სპეციფიკაციები) და სხვა.

- პროექტის თანახმად შესაძლებელი უნდა იქნეს მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი სამშენებლო სამუშაოს განხორციელება, რომლის ღირებულებაც არ უნდა აღემატებოდეს 5.000,000 ლარს.
- მიმწოდებელმა საბოლოო დოკუმენტაციის შედგენისას მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს შემსყიდველთან და გაითვალისწინოს მისი შენიშვნები და წინადადებები.
- შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს: 100 000 (ასი ათასი) ლარს დღგ-ს გათვალისწინებით.
- დაფინანსების წყარო: სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტზიზის ეროვნული ბიუროს საკუთარი სახსრები.
- კონკურსში მონაწილეების მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარს.
- საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე ლარებში (www.procurement.gov.ge).

მომღები ბანკი

ს.ს. ბანკ „რესპუბლიკის“ ცენტრალური ფილიალი

ბანკის კოდი: REPLGE22

მომღები

მომღები: სსიპ „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“

IBAN: GE52BR0000010591718543

- საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
 - გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
 - შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

- საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში დარღვევით წარდგენილი ინფორმაციის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
- საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (100 000 ლარი) არ განიხილება.
- საკონკურსო წინადადებით წარდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ. ამასთან, დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ დოკუმენტებში აღმოჩენილი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.
- ✓ საკონკურსო წინადადებების მიღება დაიწყება 2013 წლის 21 ოქტომბერს 12:00 საათზე.
- ✓ დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტის სახით უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ # 84 ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტზიზის ეროვნული ბიუროს საკონკურსო კომისიის აპარატი.
- ✓ საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდება 2013 წლის 25 ოქტომბერს 18:30 საათზე.
- ✓ საკონკურსო კომისიის მიერ დალუქული პაკეტების გახსნა მოხდება 2013 წლის 28 ოქტომბერს 12:00 საათზე.
- ✓ დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.
- ✓ ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

- ✓ გამარჯვებულ კონკურსსანტთან მოლაპარაკების საფუძველზე ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორების გზით. წინასწარ გადასარიცხი თანხის ოდენობა დაზუსტდება და შეთანხმდება შემსყიდველთან ხელშეკრულების დადების მომენტისთვის.
- ✓ **საკონკურსო კომისიის მიერ, საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:**

№ შეფასების კრიტერიუმის კოეფიციენტები:

1. არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი - 0,5
2. გამოცდილება - 0,25
3. საკონკურსო წინადადების ფასი 0,25

გამარჯვებულად ჩაითვლება კონკურსანტი, რომელსაც საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ქულა.

- საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას კონკურსანტის უფლებამოსილი პირის მიერ, ხელმოწერის გარეშე წარმოდგენილი წინადადებები არ განიხილება.
- საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს და ითვალისწინებდეს:

- ☐ საკონკურსო წინადადების ფასს (დღგ-ს ჩათვლით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში;
- ☐ განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს პროექტის კონცეფცია;
- ☐ ესკიზი წარმოდგენილი უნდა იყოს პრეზენტაციის სახით;
- ☐ წარმოდგენილი უნდა იქნას სიტუაციური ფოტომონტაჟი ჭავჭავაძის გამზირიდან.
- ☐ ინფორმაცია გამოცდილების შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს კონკურსანტის მიერ ანალოგიური მომსახურების გაწევის შედეგად რეალიზებული პროექტების სრულ ჩამონათვალს. ამასთან კონკურსანტს უნდა გააჩნდეს მინიმუმ 3 (სამი) რეალიზებული პროექტი. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ვიზუალური ასევე პროექტების ჩამონათვალის სახით (აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენა შესაძლებელია ასევე ელექტრონული ფორმითაც);
- ☐ ინფორმაცია საბოლოო დოკუმენტაციის მიწოდების ვადის შესახებ;
- ☐ ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ.

- მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მუშა პროექტის დასრულება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის განმავლობაში. პროექტის ნაბეჭდი ვერსიის ნიწოდება უნდა განხორციელდეს A 2 ფორმატით, ხოლო ელექტრონული ვერსიის მიწოდება ArchiCad-ის ან Auto Cad-ის პროგრამაში.

შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საკონკურსო კომისიის აპარატში. მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №84 მე-3 სართული, საკონტაქტო პირი: ნოდარ ფოცხვერაშვილი, 577 777 989.

ტექნიკური დოკუმენტაცია

შესყიდვის ობიექტი:

დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტის შენობის არქიტექტურული პროექტის (მათ შორის ექსტერიერის ინტერიერის, და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტის) შედგენა.

1. დასავლეთ საქართველოს ექსპერტიზის დეპარტამენტში სტრუქტურული ერთეულების სახით შედის შემდეგი განყოფილებები:

- ა) ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური ექსპერტიზის განყოფილება;
- ბ) სამედიცინო და ჰისტოლოგიური ექსპერტიზის განყოფილება;
- გ) საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის განყოფილება;
- დ) საქმისწარმოების განყოფილება.

შენობის ტექნიკური აღწერა:

- ბიუროს საქმიანობის სფეროებიდან გამომდინარე შენობა უნდა შედგებოდეს ორი ერთმანეთთან დაკავშირებული A და B ორ ან სამ სართულიანი კორპუსებისაგან. A კორპუსში განთავსებული იქნება ადმინისტრაცია და შესაბამისად უნდა გააჩნდეს ერთი შესასვლელი, თანამშრომელთა და მოქალაქეთ მისაღებად. ხოლო B კორპუსში განთავსებული იქნება პროზექტურა (მორგი), რომელსაც უნდა გააჩნდეს ორი შესასვლელი, ერთი მოქალაქეთა, ხოლო მეორე გარდაცვლილების მისაღებად.
- შენობა უნდა შედგებოდეს:

| სართული | დასახელება | განზ. | A კორპუსი | | შენიშვნა |
|---------|---------------------------|-------|-----------|-----------|---------------------------------|
| | | | რაოდენობა | რაოდენობა | |
| I | სასექციო | მ2 | | 50 | |
| I | სასექციოს მისაღები | მ2 | | 20 | |
| I | ჰისტოლოგიური ლაბორატორია | მ2 | | 25 | ორი ოთახი - 10 და 15 მ2 |
| I | ჰისტოლოგიის საოფისე ფართი | მ2 | | 10 | |
| I | ნარკოლოგიური შემოწმება | მ2 | | 40 | სველი წერტილით |
| I | ჰისტოლოგიის არქივი | მ2 | | 8 | |
| I | სველი წერტილები | მ2 | | 15 | ცალ-ცალკე ტუალეტი და დუმი (M-W) |
| I | სამორიგეო | მ2 | | 8 | |
| II | ექსპერტების მოსასვენებელი | მ2 | | 8 | |
| II | სამზარეულო | მ2 | 25 | 25 | |
| I | არქივი | მ2 | 30 | | |
| I | შეხვედრების ოთახი | მ2 | 40 | | |


| | | | | | |
|--|--|-----------|------------|------------|----------------------|
| I | ნივთმტკიცებების ოთახი | მ2 | 15 | | |
| I | საწყობი | მ2 | 15 | | |
| სართული დაზუსტდება პროექტის შედგენისას | სამეურნეოს საწყობი | მ2 | 10 | | |
| სართული დაზუსტდება პროექტის შედგენისას | სასერვერო | მ2 | 6 | | |
| სართული დაზუსტდება პროექტის შედგენისას | ამბულატორია | მ2 | | 24 | ორი ოთახი თითო 12 მ2 |
| სართული დაზუსტდება პროექტის შედგენისას | ოთახი სასამართლო პროცესებზე ჩასართავად | მ2 | 20 | | |
| I | ექსპერტის დაკითხვის და ამოცნობის ოთახი | მ2 | 10 | | |
| I | დაცვის ოთახი | მ2 | 12 | 12 | |
| I | სერვის-ცენტრი, ექსპერტთან შეხვედრისა და მისაღების სივრცე | მ2 | 150 | | |
| I | კანცელარიის ოთახი | მ2 | 20 | | |
| I | სველი წერტილი მოქალაქეებისათვის | მ2 | 6 | 6 | (M:W) |
| II | უფროსის ოთახი | მ2 | 30 | | სველი წერტილით |
| II | მოადგილის ოთახი | მ2 | 20 | | |
| II | უფროსის და მოადგილის საერთო მისაღები | მ2 | 15 | | |
| II | თანამშრომლებისათვის სვ. წერტილები | მ2 | 6 | 6 | (M:W) |
| II | სასაქონლო, საინჟინრო და საფინანსო ექსპერტთა ერთი ოთახი | მ2 | 140 | | 15 კაცზე |
| II | მბეჭდავების ოთახი | მ2 | 20 | | |
| სართული დაზუსტდება პროექტის შედგენისას | სამეურნეოს ოფისი | მ2 | 15 | | 2 კაცზე |
| II | ფსიქიატრია და ფსიქოლოგი | მ2 | | 20 | საოფისე |
| II | სამედიცინოს საოფისე ფართი | მ2 | | 30 | 4 კაცზე |
| II | სამედიცინოს განყოფილების უფროსი | მ2 | | 15 | |
| I | სამაცივრეები | მ2 | | 75 | (7x5.5) - 2 ცალი |
| I | მოქალაქეთა და ჭირისსუფლების მოსაცდელი | მ2 | | 40 | |
| I | X-ray | მ2 | | 20 | |
| I | X-ray სამმართავი პულტი | მ2 | | 10 | |
| | სულ: | მ2 | 745 | 607 | 1352 |

შენიშვნა: მოცემული კვადრატული მეტრები არის სარეკომენდაციო და დაზუსტდება გამარჯვებულ კონკურსანტთან პროექტის დამუშავების პროცესში.

დამატებითი ინფორმაცია:

1. შენობებს უნდა გააჩნდეთ სარდაფები სადაც განთავსებული იქნება წყლის რეზერვუარები;
2. ეზოში განთავსდება ელექტრო გენერატორი;
3. წარმოდგენილი არქიტექტურული კონცეფციის შედგენისას სასურველია დაცული იქნეს მითითებული ფართები.

წერტილები ფოტო გადაღებისათვის



სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება კონკურსის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ კონკურსანტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული კონკურსანტთან

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №—

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ქ. თბილისში, ----- 2013 წ.

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის გიორგი მუმლაძის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, ----- წარმოდგენილი ----- სახით (შემდგომში – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და კონკურსანტის საკონკურსო წინადადების საფუძველზე, #----- კონკურსის შედეგად, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„შემსყიდველმა“, „მიმწოდებლისგან“ მიიღო წინადადება კლასიფიკატორის CPV კოდით 71300000 - საინჟინრო მომსახურებები - გათვალისწინებული, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტის შენობის არქიტექტურული პროექტის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე, საერთო თანხით ----- ლარი (შემდგომში - „ხელშეკრულების ღირებულება“).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.

2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადამი და ფორმით.

4. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე, არაუგვიანეს -----.

5. ხელშეკრულება შედგენილია ----- გვერდზე, 3 ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ს.ს.ი.პ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის

ეროვნული ბიურო

მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №84

ტელ: (995 32) 2 25 84 84

ს.ს. „ლიბერთი ბანკი“

ბანკის კოდი: LBRTGE22

ს/ა GE86LB0121113150235000

ს/კ 204852089

მიმწოდებელი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

გიორგი მუმლაძე

ხელშეკრულების საერთო პირობები

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები.

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - კონკურსის ჩატარების შედეგად დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელიც კონკურსში გამარჯვების საფუძველზე ახორციელებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს აღიარებულ სტანდარტებს და ნორმებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველი განახორციელებს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ინსპექტირების გზით სპეციალურად ამ მიზნისთვის გამოყოფილი კირიავ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრის (დეპარტამენტი) მეშვეობით.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, შეტყობინებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

3.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში არაუგვიანეს 2013 წლის ----- .

4.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისი შენობის ექსტერიერის, ინტერიერის და მიმდებარე ტერიტორიის (ეზოს) მუშა პროექტის (ელექტრო გაყვანილობის, ვენტილაცია -კონდიციონერების, კონსტრუქციული ნაწილის, სუსტი დენების, სახანძრო გაყვანილობის და გეოლოგიის გარდა) შედგენა.

ა) ექსტერიერის და გარემოს კეთილმოწყობის არქიტექტურული პროექტის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს: შენობის ფასადის და ლანშაფტის პროექტი (ფასადის ნახაზები, ჭრილები, დეტალები, გენგემა, ტერიტორიის მოპირკეთების გეგმა, მასალათა, მცენარეთა სპეციფიკაციები და ა.შ);

ბ) ინტერიერის არქიტექტურული პროექტის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს: როგორც ყველა საზოგადო, საოფისე, ასევე დამხმარე და ტექნიკური ფართების იატაკის, ჭერის, ტიხრების ნახაზები, განშლები, დეტალები, მასალათა, ავეჯის სპეციფიკაციები (მათ შორის ავეჯის გეგმარება) და ა.შ;

გ) მიმწოდებელი ვალდებულია, მშენებლობის მიმდინარეობისას მის დასრულებამდე უზრუნველყოს სრული საპროექტო ზედამხედველობა.

4.3 ხელშეკრულების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დროს მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს პროექტის ფარგლებში გამოყენებული მასალების დაწვრილებითი სფეციფიკაციები, როგორცაა: მასალათა დასახელებები, მათი სტანდარტები, ფერის კოდები (სპეციფიკაციები) და სხვა.

4.4 მიმწოდებელმა საბოლოო დოკუმენტაციის შედგენისას მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს შემსყიდველთან და გაითვალისწინოს მისი შენიშვნები და წინადადებები.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესრულებული მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

5.2 შესრულებული მომსახურების მიღებას აწარმოებს კირიავ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი).

5.3 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი მიწოდებულად ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ, მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეების მიერ ორმხრივი ხელმოწერის შემდეგ.

6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მაღალი ხარისხის მომსახურება და იგი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და მოქმედ სანიტარულ ნორმებს.

6.2 მიმწოდებელი თავისუფლდება 3.2 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან თუ ხარვეზის წარმოქმნა გამოწვეული იქნება შემსყიდველის მიზეზით.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო (გადარიცხვა).

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე მიმწოდებლის მიერ ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტზე ორმხრივი ხელმოწერიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ანგარიშსწორების ვალუტა

ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტა - ლარში.

9. ფასები

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: ----- ლარს

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5 ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის ახალი ხელშეკრულებით წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 და 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,6%-ის ოდენობით.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 მუხლით განსაზღვრული ვადების დარღვევისათვის შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0,6% ოდენობით

13.3. იმ შემთხვევაში, თუ მე-15 მუხლის 13.1 ან 13.2 პუნქტებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა აღემატება ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.4 16.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადავო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ წინამდებარე ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა.

16.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. შეტყობინება

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი აგებს პასუხს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

შენიშვნა: * დაზუსტდება გამარჯვებულ პრეტენდენტთან.